საქართველოს პარლამენტის

დადგენილება

„საქართველოს ეროვნული სატყეო კონცეფციის“ დამტკიცების შესახებ

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-3 მუხლის „ო“ ქვეპუნქტისა და 192-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად
საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. დამტკიცდეს „საქართველოს ეროვნული სატყეო კონცეფცია“.

2. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარე **დავით უსუფაშვილი**

ქუთაისი,

11 დეკემბერი 2013 წ.

N1742-Iს

საქართველოს ეროვნული სატყეო კონცეფცია

სარჩევი

1. შესავალი

2. კონცეფციის მიზანი

3. პრობლემები

3.1. არასრულფასოვანი საკანონმდებლო ბაზა, ტყის მართვის სუსტი ინსტიტუციები და კანონის არასათანადო აღსრულება

3.2. ტყის ფასეულობების არასათანადოდ გათვალისწინება დაგეგმვისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში

3.3. სიღარიბის დონე

3.4. ცნობიერების დაბალი დონე

3.5. არასაკმარისი დაფინანსება

4. კონცეფციის ძირითადი პრინციპები

4.1. ტყის მდგრადი მართვის პრინციპი

4.2. სიფრთხილის პრინციპი ტყის დაცვითი ფუნქციებისა და ეკოლოგიური წონასწორობის შესანარჩუნებლად

4.3. „ყველა ტყე ადგილობრივია“

4.4. პოლიტიკის, მართვის და ზედამხედველობის ფუნქციების გამიჯვნა

4.5. სატყეო სექტორი, როგორც სახელმწიფოს მდგრადი განვითარების შემადგენელი ნაწილი

5. კონცეფციის პრიორიტეტული მიმართულებები

5.1. ტყის მართვის დაგეგმვა

5.1.1. დეგრადირებული ტყეების აღდგენა და ტყით დაუფარავი ფართობების გაშენება

5.1.2. ტყითსარგებლობა

5.1.3. განსახორციელებელი ქმედებები

5.2. ტყის რესურსების რაციონალური გამოყენება

5.2.1. განსახორციელებელი ქმედებები

5.3. ტყის საკუთრება, მართვა და ტყით სარგებლობის უფლება

5.3.1. განსახორციელებელი ქმედებები

5.4. კლიმატის ცვლილების ზემოქმედებასთან ადაპტაცია

5.4.1. განსახორციელებელი ქმედებები

6. საქართველოს კანონმდებლობა და ინსტიტუციური მართვა

6.1. სამართლებრივი ბაზა

6.1.1. განსახორციელებელი ქმედებები

6.2. სატყეო სექტორის ადმინისტრირება

6.2.1. განსახორციელებელი ქმედებები

6.3. ტყის მართვის უწყებები

6.3.1. განსახორციელებელი ქმედებები

7. განათლება და მეცნიერება

7.1. განსახორციელებელი ქმედებები

8. საზოგადოების ცნობიერება და ჩართულობა

8.1. განსახორციელებელი ქმედებები

1. შესავალი

საქართველოს ეროვნული სატყეო კონცეფცია (შემდგომ – კონცეფცია) განსაზღვრავს სახელმწიფოს დამოკიდებულებას საქართველოს ტყეების მიმართ – მათი ძირითადი ფუნქციური დანიშნულებისა და ფასეულობების გათვალისწინებით.

კონცეფცია ერთიანია საქართველოს ყველა ტყისთვის, მიუხედავად მათი საკუთრების, მფლობელობის და მართვის ფორმებისა. იგი საფუძვლად დაედება სატყეო სექტორის კანონმდებლობის, ინსტიტუციური მოწყობისა და სხვა პოლიტიკური ინსტრუმენტების შემუშავებასა და დახვეწას.

საქართველოს ტყე არის ქვეყნისთვის განსაკუთრებული ფასეულობის მქონე ბუნებრივი რესურსი, რომელიც

საქართველოს ტერიტორიის დაახლოებით 40%-ს მოიცავს. მას უდიდესი ეროვნული, რეგიონალური და გლობალური მნიშვნელობა აქვს. ტყე არა მხოლოდ უნიკალური ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას განაპირობებს, არამედ უზრუნველყოფს ქვეყნის მოსახლეობისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის პირდაპირი თუ არაპირდაპირი სარგებლისა და რესურსების უწყვეტ მიწოდებასაც, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს ეკონომიკის სხვადასხვა დარგის ფუნქციონირებას, ადამიანების კეთილდღეობას, სიღარიბის აღმოფხვრას და ქვეყნის მდგრადი განვითარებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნას.

საქართველოს ტყის 95–98% ბუნებრივი წარმოშობისაა. მისი შემადგენლობა, აღნაგობა, ზრდა-განვითარება და სხვა მახასიათებლები განაპირობებს მდიდარ ბიომრავალფეროვნებას – საქართველოს ტყეში 400-მდე სახეობის ხე და ბუჩქი იზრდება. დენდროფლორის დიდი მრავალფეროვნების მაჩვენებელია ენდემური მერქნიანი მცენარეების სიმრავლე. მათ შორის საქართველოს ენდემია 61 სახეობა, ხოლო კავკასიისა – 43.

საქართველოს ტყე ფაუნის მრავალი სახეობის საბინადრო ადგილი და სამიგრაციო დერეფანია და მათ გენეტიკური მრავალფეროვნების შენარჩუნებაში ეხმარება. საქართველო დედამიწის ბიოლოგიური თვალსაზრისით ერთ-ერთ ყველაზე მდიდარ რეგიონში მდებარეობს. ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) მიერ განსაზღვრული 35 „პრიორიტეტული ადგილიდან“ ერთ-ერთი კავკასიის რეგიონია. გარდა ამისა, ორგანიზაცია „საერთაშორისო კონსერვაციის“ (Conservation International) მიერ განსაზღვრული 34 „ბიომრავალფეროვნების ცხელი წერტილიდან“ (ბიომრავალფეროვნებით გამორჩეული და იმავდროულად სერიოზული საფრთხის ქვეშ მყოფი ტერიტორიებიდან) საქართველო შედის 2 „ბიომრავალფეროვნების ცხელ წერტილში“ – კავკასიისა და ირან-ანატოლიის შემადგენლობაში. საქართველოს მთებში შემორჩენილი ტყის მასივები დედამიწის ზომიერ სარტყელში უკანასკნელი ხელუხლებელი ტყეებია, რაც მათ გლობალურ მნიშვნელობას განაპირობებს.

საქართველოს ტყე გამოიყენება ტყის რესურსებზე ეროვნული მეურნეობისა და მოსახლეობის სხვადასხვა მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის და, რაც მთავარია, უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სოციალურ-ეკოლოგიური ფუნქციების შესრულებისათვის, რომლებიც ტყის წყალმარეგულირებელი, ნიადაგდაცვითი, კლიმატმარეგულირებელი, კურორტოლოგიური, რეკრეაციული, სანიტარიულ-ჰიგიენური, ესთეტიკური და სხვა სასარგებლო ფუნქციებით გამოიხატება.

საქართველოს ტყე მოსახლეობასა და ქვეყნის ეკონომიკას ამარაგებს სამასალე და საშეშე მერქნით, რომელიც აუცილებელია ყოფა-ცხოვრებისათვის, და არამერქნული პროდუქტებით, მათ შორის, სამკურნალო მცენარეებით.

სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების განხორციელებითა და ტყის რესურსების გადამუშავებით შეიქმნება მნიშვნელოვანი მოცულობის დამატებითი ღირებულება და სამუშაო ადგილები, რაც გაზრდის სოფლის მოსახლეობის შემოსავალს და მის კეთილდღეობას.

საქართველოს ტყეს სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს როგორც მოსახლეობის უსაფრთხოებისა და კეთილდღეობისათვის, ისე ქვეყნის ეკონომიკის სხვადასხვა დარგის განვითარებისათვის. ტყე საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს უზრუნველყოფს სუფთა წყლით. ტყის ეკოსისტემების სიჯანსაღეზეა დამოკიდებული ეკონომიკის სექტორების (სოფლის მეურნეობა, ჰიდროენერგეტიკა და სხვა) წყლით მომარაგება. ტყე განსაზღვრავს წყლის ხარისხს და ამცირებს წყალმოვარდნებისა და წყალდიდობების საფრთხეს ნალექების ზედაპირული ჩამონადენის რეგულირებით. ის ხელს უშლის ნიადაგის ეროზიის განვითარებას, ამცირებს მეწყრის, ზვავისა და ღვარცოფის განვითარების რისკს და არბილებს მათ ზემოქმედებას. ატმოსფეროდან ნახშირბადის შთანთქმით და ტყის მასასა და ნიადაგში მისი შეკავებით ტყე მნიშვნელოვან როლს ასრულებს ნახშირბადის გლობალურ ციკლში. ტყის აღნიშნული მარეგულირებელი ფუნქციები მნიშვნელოვანია ჰიდროენერგეტიკის (ჯანსაღი ტყე ამცირებს მდინარეების ნატანს და წყალსაცავებს ამოვსებისაგან იცავს) და სოფლის მეურნეობის (ხდება ნიადაგის ეროზიისგან დაცვა, მავნებლების კონტროლი, სოფლის მეურნეობის კულტურების დამტვერვა და სხვა) განვითარებისათვის.

საქართველოს ტყეს უდიდესი ესთეტიკური და რეკრეაციული მნიშვნელობა აქვს. მას ქვეყნის ტურისტული პოტენციალისა და ამ საქმიანობასთან დაკავშირებული შემოსავლების ზრდაში დიდი წვლილი შეაქვს. ტყის ეკოსისტემებზეა დამოკიდებული არაერთი კურორტისა და ტურიზმის სხვადასხვა სახეობის არსებობა და განვითარება. ამასთანავე, საქართველოს ტყეს უდიდესი სამეცნიერო, ისტორიული, სულიერი და კულტურული მნიშვნელობა აქვს.

2. კონცეფციის მიზანი

სატყეო სექტორში არსებული პრობლემების გადასაჭრელად, აგრეთვე სიღარიბის აღმოფხვრის ხელშეწყობისათვის, ადამიანების კეთილდღეობისათვის და ქვეყნის მდგრადი განვითარებისათვის ამ

კონცეფციის მიზანია ტყის მდგრადი მართვის სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოში ტყეების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებას, ბიომრავალფეროვნების დაცვას, ტყეების ეკოლოგიური ფასეულობების გათვალისწინებით მათი ეკონომიკური პოტენციალის ეფექტიან გამოყენებას, ტყის მართვაში საზოგადოების მონაწილეობას და მიღებული სარგებლის სამართლიან გადანაწილებას.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად საქართველოს ტყით სარგებლობა ისეთი მეთოდებითა და ინტენსივობით უნდა განხორციელდეს, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მისი ეკოლოგიური სიჯანსაღის შენარჩუნება და სოციალურ-ეკონომიკური პოტენციალის გამოყენება.

3. პრობლემები

სატყეო სექტორში არსებული პრობლემები, რომლებიც პირდაპირ აისახება ტყის მდგომარეობაზე, გამოწვეულია მრავალი ფაქტორით. მათ შორის უმთავრესია წინა წლებში გამოყენებული მართვის პრაქტიკა, რომელიც ეწინააღმდეგებოდა ტყის მდგრადი მართვის პრინციპებს, სოციალური ფონი და პოლიტიკური ნების არარსებობა.

სატყეო სექტორსა და ეკონომიკის სხვა დარგებში სტრატეგიული ქმედებები ქვემოთ მოყვანილი ძირითადი პრობლემებისა და ტყეზე უარყოფითი ზემოქმედების პოტენციური საფრთხეების გათვალისწინებით უნდა განხორციელდეს.

3.1. არასრულფასოვანი საკანონმდებლო ბაზა, ტყის მართვის სუსტი ინსტიტუციები და კანონის არასათანადო აღსრულება

სატყეო სექტორის მარეგულირებელი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები არ შეესაბამება ტყის მდგრადი მართვის პრინციპებს; ამ ნორმატიულ აქტებში არსებული ხარვეზები და კოლიზიები განაპირობებს მათ წინააღმდეგობას როგორც ერთმანეთთან, ისე ქვეყანაში მოქმედ, სატყეო ურთიერთობებთან დაკავშირებულ სხვა კანონმდებლობასთან.

არადამაკმაყოფილებელია ქვეყნის მიერ სატყეო სექტორის მდგრად მართვასთან დაკავშირებული საერთაშორისო ვალდებულებებისა და რეკომენდაციების შესრულების დონე.

ტყის მართვის ორგანოები შეზღუდული ადამიანური და ფინანსური რესურსებით ვერ უზრუნველყოფენ ტყის ეფექტიან მართვას.

სუსტი ადგილობრივი თვითმმართველობის გამო მას ტყე არ გადასცემია.

ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ხარვეზები, სათანადო მექანიზმების არარსებობა, არასწორი ადმინისტრირება და საკადრო პოლიტიკა კანონის არასათანადო აღსრულების ძირითადი მიზეზები იყო. შესაბამისად, კანონით დადგენილი მოთხოვნები და ვალდებულებები სრულყოფილად არ სრულდებოდა.

3.2. ტყის ფასეულობების არასათანადოდ გათვალისწინება დაგეგმვისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში

ტყის ფასეულობები, მათი ფუნქციური დანიშნულების მიხედვით, არასათანადოდ იყო გათვალისწინებული. საზოგადოების ცნობიერების დაბალ დონესთან არის დაკავშირებული ისეთი ინსტრუმენტების არარსებობა ან სისუსტე, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი იქნებოდა ტყის ფუნქციების სრულყოფილი შეფასება განვითარების პროგრამების შემუშავებისას და ცალკეულ შემთხვევებში გადაწყვეტილებების მიღებისას. არ არსებობს სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების პრაქტიკა. საქართველოს ტყის ფონდის უმეტეს ნაწილში ბოლო ათწლეულების განმავლობაში არ განხორციელებულა ტყეთმოწყობა; სახელმწიფოს არ აქვს ინფორმაცია საქართველოს ტყის ფონდის – ქვეყნის ტერიტორიის დაახლოებით 40%-ის – ფაქტობრივი მდგომარეობის შესახებ.

პრობლემაა ბოლო წლებში საქართველოს ტყის ფონდის საზღვრების გაუაზრებლად შეცვლა, რომელთა შესახებ მონაცემებიც დეტალურ შესწავლასა და დაზუსტებას საჭიროებს.

მაღალი კონსერვაციული ღირებულების მქონე ტყის მნიშვნელოვან ნაწილს არ აქვს დაცული ტერიტორიის სტატუსი. ქვეყანაში არსებული დაცული ტერიტორიები არასაკმარისია ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისათვის. მდგრადი გამოყენების უზრუნველსაყოფად დაცული ტერიტორიები არ ქმნის ერთიან ქსელს.

არ არსებობს ტყეების კატეგორიები მათი ფუნქციური დანიშნულების მიხედვით. შესაბამისად, არსებული სისტემა არ შეესატყვისება ტყის მდგრადი მართვისა და ეკოსისტემური მიდგომის თანამედროვე პრინციპებს.

ტყის ფასეულობების არასათანადო შეფასების ნათელი მაგალითია არასწორი ტყითსარგებლობის არსებული პრაქტიკა – პრიორიტეტის მხოლოდ მერქნული რესურსის მოპოვებისათვის მინიჭება და ტყითსარგებლობის სხვა სახეების უგულებელყოფა.

უნდა დაიხვეწოს სატყეო სექტორთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების ჩართულობის მექანიზმები, რის შედეგადაც შეზღუდული აღარ იქნება ამ პროცესში საზოგადოების მონაწილეობა.

3.3. სიღარიბის დონე

სოფლად არსებული სიღარიბის მაღალი დონე, სათბობი შეშისა და სატყეო მიწებზე საქონლის ძოვების ხელმისაწვდომი ალტერნატივების არარსებობა ადამიანებს აიძულებს, ტყის რესურსები უკანონოდ და არამდგრადი მეთოდებით მოიპოვონ. ხშირად ღარიბი მოსახლეობა უბრალო მუშახელია ტყითსარგებლობასთან დაკავშირებული სხვადასხვა უკანონო ბიზნესის წარმოებისას. პროდუქტიული ტყის ფართობების კერძო სექტორისთვის გრძელვადიან სარგებლობაში გადაცემამ კიდევ უფრო გააძლიერა დანარჩენ ტყის ფართობებზე ზეწოლა სოციალური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ამასთანავე, ტყის არასწორი მართვა განსაკუთრებით აზარალებს ღარიბ მოსახლეობას, რადგან ილახება ბუნებრივ რესურსებთან დაკავშირებული მისი სასიცოცხლო ინტერესები, ხოლო ტყის დეგრადაციის შედეგები – რესურსების შემცირება, გახშირებული სტიქიური მოვლენები – უფრო ამძიმებს მის სოციალურ მდგომარეობას.

3.4. ცნობიერების დაბალი დონე

ტყითმოსარგებლეები და ის სახელმწიფო მოხელეები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან სატყეო სექტორისა და მასთან დაკავშირებული სხვა დარგების წარმართვისათვის, სათანადოდ ინფორმირებული არ არიან ტყეების მნიშვნელობისა და ტყეებზე მათი ქმედებებისა და გადაწყვეტილებების ზემოქმედების მნიშვნელობის შესახებ. შესაბამისად, ისინი არ ითვალისწინებენ იმ შედეგებს, რომლებიც შესაძლებელია ამ ზემოქმედებამ გამოიწვიოს, – ტყის ეკოსისტემების დეგრადაცია და, საბოლოოდ, ადამიანის მიერ პროვოცირებული ეკოლოგიური კატასტროფები.

3.5. არასაკმარისი დაფინანსება

სატყეო სექტორის არასაკმარისი დაფინანსება მისი განვითარების ერთ-ერთი ძირითადი ხელშემშლელი ფაქტორია.

საკმარისი დაფინანსებისა და აუცილებელი რეფორმების განხორციელების შედეგად შესაძლებელი გახდება სახელმწიფოს მიერ ძირითადი ვალდებულებების სრულყოფილად შესრულება და დამატებითი ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური სარგებლის მიღება, მათ შორის:

ა) ქვეყნის ეკონომიკაში სატყეო შემოსავლებისა და სატყეო სექტორის წილის ზრდა;

ბ) დასაქმებულთა რიცხოვნობის ზრდა – ძირითადად ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებით.

4. კონცეფციის ძირითადი პრინციპები

ამ კონცეფციის ძირითადი პრინციპები შეესაბამება საქართველოს მიერ აღიარებულ და ტყეებთან დაკავშირებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებში განსაზღვრულ ვალდებულებებსა და განცხადებებს. კონცეფციის სახელმძღვანელო პრინციპები მოიცავს შემდეგ პრინციპებს (და არა მხოლოდ მათ):

4.1. ტყის მდგრადი მართვის პრინციპი

ამ კონცეფციის უმთავრესი სახელმძღვანელო პრინციპია ტყის მდგრადი მართვა. ევროპის ტყეების დაცვის მინისტრთა კონფერენციის („ევროპის ტყეები“) მიერ მიღებული განმარტების თანახმად, ტყის მდგრადი მართვა ნიშნავს ტყეებისა და ტყიანი ტერიტორიების ისეთი მეთოდებით მოვლასა და გამოყენებას, რომლებიც უზრუნველყოფს მათი ბიომრავალფეროვნების, პროდუქტიულობის, თვითაღდგენისა და სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებას, ისე, რომ მათ ახლაც და მომავალშიც შეასრულონ შესაბამისი ეკოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური ფუნქციები ადგილობრივ, ეროვნულ და გლობალურ დონეებზე

და სხვა ეკოსისტემებს ზიანი არ მიადგეს. ტყის მართვაში მონაწილე ყველა სუბიექტი (სახელმწიფო უწყება, კერძო ორგანიზაცია, თემი და სხვა) აღნიშნული პრინციპით უნდა ხელმძღვანელობდეს.

4.2. სიფრთხილის პრინციპი ტყის დაცვითი ფუნქციებისა და ეკოლოგიური წონასწორობის შესანარჩუნებლად

ტყის მართვის პროცესში ადგილობრივ, რეგიონულ, ეროვნულ და გლობალურ დონეებზე გათვალისწინებული უნდა იქნეს ტყისა და მასთან დაკავშირებული ეკოსისტემების როლი, რადგან მიღებულმა გადაწყვეტილებამ შესაძლოა ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევა გამოიწვიოს. ამისათვის გამოყენებული უნდა იქნეს სიფრთხილის პრინციპი. ქვეყნის ყველა სექტორის სტრატეგიებისა და გეგმების შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ტყის ფუნქციური დანიშნულება, რათა ტყისგან ერთი სახის სარგებლის მიღებამ ტყის სხვა ფუნქციური დანიშნულების დეგრადაცია არ გამოიწვიოს.

4.3. „ყველა ტყე ადგილობრივია“

პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, თუმცა ტყის მართვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში უნდა მონაწილეობდეს ყველა დაინტერესებული მხარე, მათ შორის, არაადგილობრივი; ამასთანავე, ადგილობრივი მცხოვრებნი (კერძოდ, ქალები) ცალკე დაინტერესებულ მხარედ განიხილება. დაინტერესებულ მხარეებს პროცესში ეფექტიანი მონაწილეობისთვის შესაბამისი უფლებამოსილებები უნდა ჰქონდეთ. უზრუნველყოფილი უნდა იქნეს არაკომერციული მიზნით ტყეების ყველასთვის ხელმისაწვდომობა, მიუხედავად მათი მფლობელობის ფორმისა (სახელმწიფო, სათემო და სხვა). აღიარებული და მხარდაჭერილი უნდა იქნეს ტყიან ტერიტორიებზე მოსახლე თემების იდენტურობა და კულტურა, აგრეთვე ტყითსარგებლობისა და ტყის შენარჩუნების ტრადიციული ცოდნა. ტყის რესურსების გამოყენებით მიღებული სარგებელი სამართლიანად უნდა განაწილდეს ადგილობრივ, რეგიონულ და ეროვნულ მომხმარებლებს შორის.

4.4. პოლიტიკის, მართვის და ზედამხედველობის ფუნქციების გამიჯვნა

სატყეო მეურნეობის წარმართვის ობიექტური კონტროლისა და საუკეთესო პრაქტიკით ტყის ეკოსისტემების მართვის უზრუნველსაყოფად აუცილებელია სახელმწიფო მართვის ფუნქციების შესაბამის უფლებამოსილ უწყებებს შორის გადანაწილება.

ტყის მართვისათვის პასუხისმგებელი შესაბამისი უწყებებისა და ტყის სხვა მმართველების (სათემო, კერძო და სხვა) საქმიანობას ზედამხედველობს სახელმწიფო კონტროლის განხორციელების უფლებამოსილების მქონე უწყება.

4.5. სატყეო სექტორი, როგორც სახელმწიფოს მდგრადი განვითარების შემადგენელი ნაწილი

სატყეო სექტორი არის ეკონომიკური თვალსაზრისით ერთ-ერთი მოგებიანი სფერო, რომელიც მასთან დაკავშირებული სხვა დარგების (სოფლის მეურნეობა, ენერგეტიკა, ტურიზმი, მომსახურება და სხვა) განვითარებასაც უწყობს ხელს.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო კოორდინაციას გაუწევს ამ კონცეფციის სხვა დარგობრივ (სოფლის მეურნეობის, ენერგეტიკის და სხვა) სტრატეგიებთან ჰარმონიზაციის ღონისძიებებს. ამ შემთხვევაში სამინისტროს ფუნქციაა საქართველოს ტყის ფონდის სხვა მიზნით (წიაღისეულის მოპოვება, გზების მშენებლობა ან სხვა ინფრასტრუქტურული განვითარება) გამოყენების პროცესის მართვა. თუ სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობისათვის აუცილებელია საქართველოს ტყის ფონდის არასატყეო მიზნით გამოყენება, მიღებული უნდა იქნეს შესაბამისი შემარბილებელი და საკომპენსაციო ზომები.

5. კონცეფციის პრიორიტეტული მიმართულებები

5.1. ტყის მართვის დაგეგმვა

ტყის მართვა უნდა განხორციელდეს მისი სასარგებლო ფუნქციების შენარჩუნებით და ამ ფუნქციებიდან საზოგადოებისათვის მაქსიმალური სარგებლის მიღებით.

საქართველო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამდე ტყის მართვის საბჭოთა ტიპის გრძელვადიანი გეგმებითა და სატყეო საქმიანობის სტანდარტებით ხელმძღვანელობდა. მრავალი წლის განმავლობაში, მცირე გამონაკლისების გარდა, ტყის მართვის დაგეგმვა აღარ მომხდარა.

აუცილებელია ტყის მართვის დაგეგმვის პროცედურების განახლება და სრულყოფა, მათ შორის, ტყის მართვის გეგმების მომზადების პროცესში ადგილობრივი თემებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის მექანიზმების დახვეწა.

5.1.1. დეგრადირებული ტყეების აღდგენა და ტყით დაუფარავი ფართობების გაშენება

წლების განმავლობაში არასწორი ტყითსარგებლობის შედეგად საქართველოს ტყის ფონდის მნიშვნელოვანი ნაწილი ძალიან არის დეგრადირებული. დეგრადირებულ ტყიან ლანდშაფტებზე ადვილად ვითარდება მეწყრები და ზვავები.

საქართველოს მთავრობას გაცნობიერებული აქვს პრობლემის სერიოზულობა და საქართველოში ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნებისა და ტყით დაფარული ფართობების გაზრდის უზრუნველსაყოფად გადაუდებელი ზომების მიღების აუცილებლობა.

პირველ რიგში, აუცილებელია დეგრადირებული ტყის ფართობების დაზუსტება, აგრეთვე აღსადგენი და გასაშენებელი ფართობების გამოვლენა, შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება.

5.1.2. ტყითსარგებლობა

დღეს ტყეების პოტენციალი არც ეკონომიკური და არც ეკოლოგიური თვალსაზრისით სრულყოფილად და ეფექტიანად არ გამოიყენება.

მრავალმიზნობრივი და ეფექტიანი ტყითსარგებლობის (მერქნული და არამერქნული რესურსები, ტურიზმი და რეკრეაცია, ნადირობა და თევზაობა, სატყეო მიწების სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენება და სხვა) დაგეგმვა და განხორციელება მდგრადი ტყითსარგებლობის წინაპირობა იქნება, ხოლო სატყეო ინფრასტრუქტურის (მაგალითად, სატყეო სამეურნეო გზების ქსელი) განვითარება და ხეტყის დამზადებისა და გადამუშავების მეთოდებისა და ტექნიკის გაუმჯობესება მნიშვნელოვნად შეამცირებს გარემოსთვის მიყენებულ ზიანს და საგრძნობლად გაზრდის ტყისგან მიღებულ სარგებელს.

5.1.3. განსახორციელებელი ქმედებები

ტყის მართვა უნდა განხორციელდეს განახლებული ტყის მართვის გეგმებით, რომლებიც შემუშავდება ტყის მდგრადი მართვის თანამედროვე პრინციპების საფუძველზე, მათ შორის:

ა) ტყის მართვის დაგეგმვის სისტემის რეგულირება საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, რომლებიც სავალდებულო იქნება ტყის მართვისთვის პასუხისმგებელი ყველა სუბიექტისთვის;

ბ) საქართველოს ტყის ფონდის მართვის უზრუნველყოფა სათანადო სახელმწიფო ზედამხედველობით და შესაბამისი სტანდარტებით, კერძოდ, ევროპის ტყეების დაცვის მინისტრთა კონფერენციის („ევროპის ტყეები“) მიერ დამტკიცებული ტყის მდგრადი მართვის საოპერაციო სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად;

გ) ტყის ნებაყოფლობითი და დამოუკიდებელი სერტიფიცირების მხარდაჭერა, რაც ხელს შეუწყობს სახელმწიფოს მიერ ტყის მართვისა და ტყითსარგებლობის რეგულირებასა და შემოწმებას, მათ შორის:

გ.ა) ტყის სერტიფიცირების ეროვნული სტანდარტის შემუშავების დასრულება და ამ სტანდარტის აღიარება ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ, როგორებიც არიან ტყის მეურვეობის საბჭო (Forest Stewardship Council) და ტყეების სერტიფიცირების პროგრამა (Programme for the Endorsement of Forest Certification Schemes);

გ.ბ) ტყის ნებაყოფლობითი სერტიფიცირების ხელშეწყობა ტყის მართვის განმახორციელებელი სახელმწიფო უწყებების ამოცანა უნდა გახდეს;

გ.გ) უნდა გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები, რათა ტყის მართვაში ჩართული კერძო კომპანიები ტყის ნებაყოფლობითი სერტიფიცირებით დაინტერესდნენ;

დ) დეგრადირებული ტყიანი ლანდშაფტების სრული ეკოსისტემური სიჯანსაღის აღდგენის გეგმის შემუშავება და განხორციელება, მათ შორის:

დ.ა) დეგრადირებული ტყის მდგომარეობის და მისი აღდგენის შესაძლებლობის შეფასება;

დ.ბ) ტყის აღდგენის სტრატეგიის შემუშავება, რომელიც მოიცავს მისი განხორციელების მიზნებისა და ხარჯების საოპერაციო გეგმას;

ე) გარემოსდაცვითი დატვირთვის ნორმებისა და სოციალური მოთხოვნილებების გათვალისწინებით, ქვეყნის ეკონომიკაში ხეტყის დამზადებითა და გადამუშავებით მიღებული წილების გაზრდა სხვადასხვა გზით, მათ შორის, ხეტყის დამამზადებელი და გადამამუშავებელი კერძო საწარმოების ეფექტიანობის, სარგებლიანობისა და ნედლეულის გადამუშავების პოტენციალის შესწავლით;

ვ) ქვეყნის ეკონომიკაში ხეტყის გადამუშავებით მიღებული წილის გაზრდის სამოქმედო პროგრამის შემუშავება;

ზ) სწრაფი ჭრის ბრუნვის მქონე სახეობების პლანტაციების მიზნობრივი პროგრამის შემუშავება და განხორციელება;

თ) გარემოსდაცვითი დატვირთვის ნორმებისა და სოციალური მოთხოვნილებების გათვალისწინებით, ქვეყნის ეკონომიკაში ტყის არამერქნული პროდუქტებისა და ტყის ფუნქციური დანიშნულებით გამოყენებისას მიღებული წილის გაზრდა სხვადასხვა გზით, მათ შორის, ტყის არამერქნული პროდუქტების გადამამუშავებელი მცირე საწარმოების შექმნის პოტენციალის შესწავლით, შესაბამისი კვლევის საფუძველზე სამოქმედო გეგმის შემუშავებითა და განხორციელებით;

ი) ტყის რეკრეაციული და ტურისტული პოტენციალის შესწავლა, შესაბამისი კვლევის საფუძველზე სამოქმედო გეგმის შემუშავება და განხორციელება;

კ) ტყის ნახშირბადის ციკლის რეგულირების შესაძლებლობის შესწავლა და ტყის პოტენციალის გამოყენება, როგორც შემოსავლის წყარო, მაგალითად, ნახშირბადის ნებაყოფლობითი კრედიტებისა და ტყით დაუფარავი ფართობებისა და დეგრადირებული ტყეების გამო გაზრდილი ემისიების შემცირების (REDD+) პროგრამების ფარგლებში.

5.2. ტყის რესურსების რაციონალური გამოყენება

ტყის რესურსების რაციონალური გამოყენებისათვის აუცილებელია მათი როლისა და შესაბამისი ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური მნიშვნელობის შეფასება, მათ შორის, ქვეყნის მდგრად განვითარებაში წვლილის შეტანის თვალსაზრისით.

საქართველოში ბოლო ათწლეულების განმავლობაში არ ჩატარებულა ტყეების რეგულარული ინვენტარიზაცია, რის გამოც მათი მდგომარეობის შესახებ არსებული მონაცემები მოძველებულია. ამ მონაცემების ფაქტობრივ მდგომარეობასთან შეუსაბამობა სერიოზულ დაბრკოლებებს ქმნის ტყის რესურსების რაციონალურად და მრავალმიზნობრივად გამოყენების დაგეგმვისას.

ტყის რესურსების რაციონალური გამოყენების უზრუნველყოფისა და ტყითსარგებლობის შედეგების და გარემოში მიმდინარე ცვლილებების შეფასებისათვის აუცილებელია ტყის რესურსების მუდმივი მონიტორინგი.

5.2.1. განსახორციელებელი ქმედებები

ტყის რესურსებით სარგებლობის რაციონალური სისტემის დასანერგავად აუცილებელია მათი ფუნქციური დანიშნულებისა და ფასეულობების დადგენა, რაც მიიღწევა შემდეგი ღონისძიებების განხორციელებით:

ა) ტყეების ინვენტარიზაცია, რომელიც უნდა განხორციელდეს იმ მეთოდების ერთობლიობით, რომლებიც უზრუნველყოფს საქართველოს ტყის ფონდის საზღვრების, კორომების მდგომარეობისა და ძირითადი ფასეულობების (ხარისხობრივი მაჩვენებლებით) სრულყოფილ დადგენას;

ბ) ტყეებისათვის მათი ფასეულობებისა და ფუნქციური დანიშნულების მიხედვით კატეგორიების მინიჭება სხვადასხვა გზით, მათ შორის:

ბ.ა) მაღალი საკონსერვაციო ღირებულების მქონე ტყეების იდენტიფიკაცია ორგანიზაცია „მაღალი საკონსერვაციო ღირებულების რესურსების ქსელის“ მიერ რეკომენდებული მეთოდოლოგიის საშუალებით;

ბ.ბ) საქართველოს ტყის ფონდის სხვადასხვა ფუნქციურ კატეგორიად დაყოფა და ამ პროცესში დაცული ტერიტორიების წარმომადგენლობითი ქსელის შექმნა კავკასიის ეკორეგიონული კონსერვაციის გეგმის

შესაბამისად ბუნების კონსერვაციის საერთაშორისო კავშირის (IUCN) I–IV კატეგორიებში ტყის ფართობების გაზრდით;

გ) ისეთი სისტემის შემუშავება და ამოქმედება, რომელიც ამ კონცეფციის განმსაზღვრელებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს შესაძლებლობას მისცემს, განახორციელონ ტყეების, სატყეო სექტორში არსებული მდგომარეობისა და მიმდინარე პროცესების მონიტორინგი. აღნიშნული სისტემა უნდა ავსებდეს მონიტორინგის სხვა სისტემებს, მაგალითად, ბიომრავალფეროვნების ეროვნული მონიტორინგის სისტემას.

5.3. ტყის საკუთრება, მართვა და ტყით სარგებლობის უფლება

დღევანდელი მდგომარეობით საქართველოს ტყის ფონდი სახელმწიფო საკუთრებაა. სახელმწიფო ტყის ფონდის მართვის უფლებამოსილების მქონე ორგანოები არიან: საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ეროვნული სატყეო სააგენტო და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – დაცული ტერიტორიების სააგენტო. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიებზე არსებულ სახელმწიფო ტყის ფონდს მართავენ აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების შესაბამისი ორგანოები.

ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქცეულ, მწვანე ნარგავებით დაკავებულ ტერიტორიებს (ყოფილი სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორია) მართავს ქალაქ თბილისის მერია.

საქართველოს ტყის კოდექსის თანახმად, ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეს საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში და იმავე კოდექსით დადგენილი მოთხოვნების დაცვით, შესაბამისი სამსახურის მეშვეობით მართავს თვითმმართველი ერთეული; თუმცა დღევანდელი მდგომარეობით აღნიშნული პრაქტიკა არ არსებობს. ამ მიზნის განსახორციელებლად საჭიროა შესაბამისი კანონმდებლობა და რესურსები.

საქართველოს ტყის ფონდის გარკვეულ ტერიტორიებს მართავენ კერძო სუბიექტები მათთვის მინიჭებული ტყით სარგებლობის გრძელვადიანი უფლების შესაბამისად.

საქართველოს ტყის ფონდის მცირე ნაწილი მიჩენის ფორმით საქართველოს საპატრიარქოს აქვს გადაცემული.

ტყის მართვის არსებული სისტემა ვერ იცავს საქართველოს ტყეებს უკანონო და არამდგრადი გამოყენებისაგან და ვერ უზრუნველყოფს მათი ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნებას. განსაკუთრებულ ზეწოლას განიცდის სოფლებთან ახლოს მდებარე ტყეები, თუმცა, როგორც აღინიშნა, ადგილობრივ თემებს ჯერ არ აქვთ მათი მოვლის უფლებამოსილება და შესაბამისი პასუხისმგებლობა.

არასრულყოფილი სამართლებრივი მექანიზმების გამო სახელმწიფო კერძო სექტორისთვის გრძელვადიან სარგებლობაში გადაცემულ ტყის ფართობებზე სრულფასოვან კონტროლს ვერ ახორციელებს, ხოლო აღნიშნული გრძელვადიანი მოსარგებლე, თავის მხრივ, მოტივირებული არ არის, რომ დაიცვას ტყე და განახორციელოს მისი მდგრადი მართვა.

ტყის საკუთრების სტრუქტურისა და ტყის მართვისათვის პასუხისმგებლობის გადანაწილების ან შეცვლის შედეგად შესაძლებელია გაძლიერდეს ტყის დაცვა, ხოლო ტყის მართვა გახდეს უფრო მდგრადი, თუ მასში მონაწილეობას მიიღებენ ადგილობრივი თემები და სხვა დაინტერესებული მხარეები; თუმცა ტყის საკუთრების სტრუქტურისა და ტყის მართვისათვის პასუხისმგებლობის ნებისმიერი ცვლილება საფუძვლიანად უნდა იქნეს შესწავლილი.

გარდამავალ პერიოდში მყოფი იმ ქვეყნების გამოცდილება, რომლებმაც განახორციელეს სწრაფი და რადიკალური ცვლილებები, მაგალითად, რესტიტუცია ან პრივატიზება, უფრო უარყოფითია, ვიდრე დადებითი. ზოგიერთი სახელმწიფო ცდილობს, დაიბრუნოს კერძო სექტორისთვის საკუთრებაში გადაცემული ტყეები.

უნდა შეიქმნას ისეთი წინაპირობები, რომელთა საშუალებითაც თავიდან იქნება აცილებული ცვლილებების უარყოფითი ზემოქმედება. კერძოდ, საჭიროა ისეთი ძლიერი საკანონმდებლო ჩარჩო და ადმინისტრირების სისტემები, რომლებიც დაარეგულირებს ტყითსარგებლობას, გამოავლენს და აღკვეთს უკანონო ტყითსარგებლობას.

5.3.1. განსახორციელებელი ქმედებები

ცალკეული კერძო შემთხვევების შეფასების საფუძველზე უნდა განისაზღვროს ტყის საკუთრების და ტყის მართვის საუკეთესო ფორმები (მაგალითად, სათემო საკუთრება, სახელმწიფო ტყეების სახელმწიფო უწყების ან მის მიერ განსაზღვრული სუბიექტის მიერ მართვა და სხვა).

5.4. კლიმატის ცვლილების ზემოქმედებასთან ადაპტაცია

გლობალური დათბობა უკვე ახდენს გავლენას საქართველოს კლიმატზე. კლიმატის ცვლილება მნიშვნელოვან უარყოფით ზემოქმედებას მოახდენს საქართველოს ტყეებზე. უმოქმედობა ან ამ მოვლენებზე დაგვიანებული რეაგირება ტყის დიდ ფართობებს კატასტროფული დეგრადაციის საფრთხეს შეუქმნის და გამოიწვევს ტყის იმ რესურსებისა და სასარგებლო ფუნქციების მკვეთრ რაოდენობრივ და ხარისხობრივ შემცირებას, რომლებზედაც მოსახლეობის დიდი ნაწილია დამოკიდებული.

5.4.1. განსახორციელებელი ქმედებები

უნდა შემუშავდეს და განხორციელდეს საქართველოს ტყეებზე კლიმატის ცვლილების უარყოფითი ზემოქმედების შერბილებისა და კლიმატის ცვლილების ზემოქმედებასთან საქართველოს ტყეების ადაპტაციისაკენ მიმართული ღონისძიებები, მათ შორის:

ა) საქართველოს ტყეების მდგომარეობის, ტყის რესურსებისა და საქართველოს ტყეებისგან მიღებული სარგებლის შესახებ ეროვნული ანგარიშის მომზადება კლიმატის მოსალოდნელი ცვლილების უარყოფითი ზემოქმედების შერბილებისა და კლიმატის ცვლილების ზემოქმედებასთან საქართველოს ტყეების ადაპტაციის შესაძლო სტრატეგიების შესახებ ეროვნულ და საერთაშორისო წყაროებში არსებული ინფორმაციის გამოყენებით;

ბ) ეროვნული დიალოგის წარმოება საქართველოს ტყეებზე კლიმატის მოსალოდნელი ცვლილების უარყოფითი ზემოქმედების შერბილებისა და კლიმატის ცვლილების ზემოქმედებასთან საქართველოს ტყეების ადაპტაციის შესაძლო სტრატეგიების შესახებ;

გ) ტყის კორომებისთვის კატეგორიების მინიჭება ტყის შემადგენლობისა და კლიმატის ცვლილების მიმართ მოწყვლადობის მიხედვით;

დ) ტყის სხვადასხვა ტიპისთვის მდგრადი მართვის, მათ შორის, საქართველოს ტყეებზე კლიმატის ცვლილების ზემოქმედების შერბილებისა და კლიმატის ცვლილების ზემოქმედებასთან საქართველოს ტყეების ადაპტაციის, ზომებისა და სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება და დამტკიცება;

ე) კლიმატის ცვლილების მიმართ მოწყვლადი ტყის კორომებისთვის კლიმატის ცვლილების ზემოქმედების შერბილებისა და მასთან ადაპტაციის გეგმების შემუშავება და განხორციელება;

ვ) დაცული ტერიტორიების გაფართოება;

ზ) ტყის აღდგენა-გაშენება, ურბანული გარემოს გამწვანება, სატყეო პლანტაციები;

თ) ტყის მართვის ორგანოებისა და ტყითმოსარგებლეების უზრუნველყოფა მოწყვლადობის შეფასების საუკეთესო მეთოდებით, აგრეთვე მათთვის ხის სახეობების გავრცელების გარემოს მახასიათებლებისა და წარმოშობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება; ამასთან დაკავშირებით ტყეებსა და ტყის ფუნქციებზე კლიმატის მოსალოდნელი ცვლილების ზემოქმედების შესახებ, აგრეთვე კლიმატის ცვლილების ზემოქმედების შერბილებისა და მასთან ადაპტაციის გზების თაობაზე კვლევითი პროგრამების განხორციელება.

6. საქართველოს კანონმდებლობა და ინსტიტუციური მართვა

6.1. სამართლებრივი ბაზა

შესამუშავებელია სატყეო სექტორის მარეგულირებელი ძირითადი კანონი – საქართველოს ტყის კოდექსი – და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, რომლებიც უნდა შეესაბამებოდეს როგორც საერთაშორისო სტანდარტებს, ისე საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს.

6.1.1. განსახორციელებელი ქმედებები

უნდა შემუშავდეს ისეთი საკანონმდებლო ბაზა, რომელიც საქართველოს ტყეების დაცვისა და მდგრადი

გამოყენების წინაპირობას შექმნის. ეს მიიღწევა შემდეგი ღონისძიებების განხორციელებით:

ა) ახალი ტყის კოდექსის შემუშავება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ახალი ან განახლებული სისტემებისა და მექანიზმების შექმნა, რომლებიც ამ კონცეფციის საფუძველზე განხორციელდება;

ბ) კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, მათ შორის, ტყის მართვის სტანდარტების განმსაზღვრელი ინსტრუქციების, ტყის მესაკუთრესა და საქართველოს ტყეების მართვისათვის პასუხისმგებელ ორგანოებს (თემები, კერძო სექტორი, სახელმწიფო და სხვა) შორის არსებული ურთიერთობის რეგულაციების, შემუშავება;

გ) სხვა ძირითადი საკანონმდებლო აქტების ახალ ტყის კოდექსთან ჰარმონიზაცია.

6.2. სატყეო სექტორის ადმინისტრირება

საქართველოს ტყეების მდგრადი მართვა მოითხოვს ისეთი ინსტიტუციების შექმნას, რომლებიც უზრუნველყოფს სატყეო სექტორის სრულყოფილ ადმინისტრირებას და გრძელვადიან განვითარებას. ეს კონცეფცია ინტეგრირებული უნდა იყოს მასთან დაკავშირებული დარგების (სოფლის მეურნეობა, ენერგეტიკა, მრეწველობა, ტურიზმი და სხვა) განვითარებასთან. შესაბამისად, მმართველობითი ინსტრუმენტების შემუშავებისას სატყეო სექტორი უნდა განიხილებოდეს, როგორც ინტერსექტორული სუბიექტი.

6.2.1. განსახორციელებელი ქმედებები

სატყეო სექტორის ადმინისტრირებისათვის უნდა განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებები:

ა) ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოების შესაძლებლობების გაძლიერება;

ბ) სათანადო პოლიტიკის, კანონმდებლობის, სტანდარტებისა და სხვა ინსტრუმენტების შემუშავება;

გ) ტყითსარგებლობის რეგულირება;

დ) უკანონო ტყითსარგებლობის გამოვლენა და აღკვეთა, მათ შორის, ტყის ადმინისტრირების და მისი მართვის ფუნქციებისა და შესაძლებლობების გადახედვა;

ე) ისეთი გეგმის შემუშავება და განხორციელება, რომელიც უფლებამოსილ ორგანოებს დაეხმარება თავიანთი შესაძლებლობების გაძლიერებაში მათთვის დაკისრებული ფუნქციების სრულყოფილად შესასრულებლად;

ვ) პოლიტიკისა და სხვა ინსტრუმენტების შემუშავების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის გაფართოება და გაძლიერება, მათ შორის, მასში სატყეო სექტორით დაინტერესებულ მხარეთა ჩართვის მექანიზმების შემუშავება.

6.3. ტყის მართვის უწყებები

უნდა ჩამოყალიბდეს და გაძლიერდეს ტყის მართვისთვის პასუხისმგებელი ისეთი ახალი ინსტიტუციები, რომლებსაც ექნებათ სატყეო მეურნეობის წარმოების, მათ შორის, ინფრასტრუქტურის შექმნის, სამონადირეო მეურნეობის წარმოების, ხეტყის დამზადებისა და ტყის სხვა რესურსებით სარგებლობის, ტყის რესურსების რეალიზაციის, ტურისტული და სხვა სახის მომსახურების გაწევის, უფლებამოსილება, აგრეთვე შემოსავლების რეინვესტიციის უფლება და რომლებიც უზრუნველყოფილი იქნებიან შესაბამისი ადამიანური და ფინანსური რესურსებით.

ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოებისათვის საჭირო იქნება მნიშვნელოვანი ინვესტიციები კადრების, აღჭურვილობის, შენობებისა და სხვა ინფრასტრუქტურის სახით. სასწავლო ცენტრებში გადამზადებული პერსონალი ტყის დაცვისა და მდგრადი გამოყენების უზრუნველყოფაში მთავარ როლს შეასრულებს, რადგან პასუხისმგებელი იქნება ტყის დაცვისა და ფიზიკური მართვის ყველა ფუნქციის შესრულებისთვის, მათ შორის:

ა) ტყეების ინვენტარიზაციის ჩატარებისა და ტყის მართვის გეგმების მომზადებისთვის, რომლებიც საჭიროა ტყის მდგრადი მართვისა და განვითარების გრძელვადიანი გეგმის მოსამზადებლად;

ბ) ტყის რესურსებით სარგებლობის, სატყეო გზებისა და სხვა ინფრასტრუქტურის მშენებლობის, ტყის

მოვლისა და აღდგენა-გაშენების, ნადირობისა და სხვა საქმიანობების სამოქმედო გეგმების მომზადებისთვის;

გ) საქართველოს ტყის ფონდის ტერიტორიების უკანონო ქმედებებისაგან დაცვისთვის;

დ) ხანძრების, ტყის მავნებლებისა და დაავადებების გავრცელების პრევენციისა და მათ წინააღმდეგ ბრძოლისთვის;

ე) ტყის რესურსებით სარგებლობისთვის ან სარგებლობის უფლების სხვა პირზე გაყიდვისთვის, ტყის მართვის დამტკიცებული გეგმის შესაბამისად.

ტყის მართვის დაფინანსების არსებული სისტემა ვერ ახდენს საკმარისი სახსრების მობილიზებას, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ტყის სათანადო დაცვა, აღდგენა და მოვლა. საქართველოს მთავრობამ უნდა უზრუნველყოს ტყის მართვისთვის, ტყის მმართველების ზედამხედველობისა და კონტროლისთვის პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყებების სათანადო დაფინანსება, რათა მათ შეძლონ თავიანთი ფუნქციების ეფექტიანად შესრულება.

6.3.1. განსახორციელებელი ქმედებები

ტყის მართვის უწყებები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ კადრებითა და ტექნიკური საშუალებებით, რათა შეძლონ თავიანთი ფუნქციების ეფექტიანად შესრულება, მათ შორის:

ა) ტყის მართვისთვის პასუხისმგებელი ორგანოების განვითარების გეგმების, მათ შორის, ბიუჯეტის, ტექნიკური დახმარების, ინდიკატური, ფინანსური გეგმის ან/და ბიზნესგეგმის მომზადება და განხორციელება;

ბ) ტყის მართვის უწყებების კადრებითა და უფლებამოსილებებით უზრუნველყოფის სქემის შემუშავება მათთვის დაკისრებული ამოცანების შესაბამისად; საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო წყაროებიდან მდგრადი დაფინანსების უზრუნველყოფა (პროდუქტებისა და მომსახურების რეალიზაცია, კომპენსაციები და სხვა).

7. განათლება და მეცნიერება

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ პროფესიონალ მეტყევეებზე მოთხოვნილება შემცირდა. ბევრმა კვალიფიციურმა მეტყევემ პროფესია შეიცვალა. ამ ტენდენციის დასაძლევად მიღებულია გარკვეული ზომები: მოქმედებს ახალი პროგრამები, რომლებშიც ჩართული არიან საქართველოსა და უცხოეთის აკადემიური, კვლევითი და იურიდიული ორგანიზაციების პროფესორ-მასწავლებლები; თუმცა დიდი დრო დასჭირდება იმას, რომ ქვეყანას ჰყავდეს საკმარისი რაოდენობის კვალიფიციური ექსპერტი შესაბამის სამსახურებში დასასაქმებლად. სტუდენტებს სჭირდებათ ნათელი პერსპექტივა იმისა, თუ რა სამუშაოს შესრულებაში გამოადგებათ სწავლისას ან ტრენინგებისას შეძენილი უნარები.

მეტყევეობასა და ტყის მენეჯმენტში მაღალკვალიფიციურობისა და თანამედროვე ეროვნული გამოცდილების განვითარებისთვის აუცილებელია საგანმანათლებლო ინსტიტუტებსა (სკოლები, კოლეჯები, უნივერსიტეტები) და ტყის მართვაში ჩართულ სამთავრობო უწყებებს შორის მჭიდრო თანამშრომლობა.

ტყის მართვისა და დაცვის ეროვნული მნიშვნელობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია დაწყებითი და საშუალო დონეების საგანმანათლებლო დაწესებულებების ჩართვა ახალგაზრდა თაობისთვის ტყის შესახებ საბაზისო ცოდნის მიწოდებასა და ტყის რესურსების მნიშვნელობის ახსნაში. სასურველია, რომ საჯარო სკოლების, განსაკუთრებით, სოფლის სკოლების, მოსწავლეებს მიეწოდოთ საწყისი ცოდნა საქართველოს ტყეების, მათი მნიშვნელობისა და მდგრადი გამოყენების პრინციპების თაობაზე. საუნივერსიტეტო საბუნებისმეტყველო პროგრამებში საველე სამუშაოებს საკმარისი რაოდენობის საათები უნდა დაეთმოს, რაც გაზრდის ტყისა და მეტყევეობისადმი საჯარო ინტერესს და სატყეო სექტორში მეტ ნიჭიერ სტუდენტს მოიზიდავს.

მეტყევეობაში სპეციალური განათლება უნდა მოიცავდეს ამ სფეროს პერსონალისთვის პროფესიულ განათლებასა და მოკლევადიან კურსებს, რომლებსაც მას უნივერსიტეტები ან/და ტყის მართვის ორგანოები შესთავაზებენ.

პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს სპეციალური სატყეო სასწავლო ცენტრების შექმნასა და სასწავლო კურსების შემუშავებას, განსაკუთრებით, პრაქტიკული საველე სწავლებების ჩატარებას. სატყეო სექტორის მდგრადი მართვის მთავარი მიზანი და პირობაა სატყეო სექტორში დასაქმებული პირების კვალიფიკაციის

ამაღლება და ახალი შესაძლებლობების განვითარება.

სახელმწიფო და საგანმანათლებლო ინსტიტუტებს შორის თანამშრომლობა ხელს შეუწყობს პროფესიული გამოცდილების განახლებას, ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების თანამედროვე დონეზე განხორციელებას მეტყევეობასა და მომიჯნავე დარგებში. სატყეო მეცნიერების სფეროში თანამედროვე დონისა და საერთაშორისო პუბლიკაციაზე ორიენტირებული კვლევითი პროექტების განხორციელება ხელს შეუწყობს კვლევის შედეგების წარმატებულ დანერგვას მეტყევეობის პრაქტიკაში. მნიშვნელოვანია პროფესორ-მასწავლებლების პროფესიული ცოდნის უწყვეტი განახლება თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად და კვლევით პროექტებში სტუდენტების ჩართვა.

7.1. განსახორციელებელი ქმედებები

სატყეო სექტორში პროფესიული განათლების სისტემა ინტეგრირებული საგანმანათლებლო სისტემის ჩამოყალიბებით უნდა გაძლიერდეს. ეს სისტემა უნდა მოიცავდეს სკოლებს, კოლეჯებს, პროფესიულ კოლეჯებს, უნივერსიტეტებსა და სახელმწიფო ინსტიტუტებს. ამ მიზნის მიღწევის გზებია:

ა) სატყეო სექტორში განათლების გეგმის შემუშავება და დანერგვა კვალიფიციური ექსპერტებით საქართველოს უზრუნველყოფის მიზნით;

ბ) საჯარო სკოლების მოსწავლეებისათვის ტყესთან დაკავშირებული საწყისი ცოდნის მიწოდება;

გ) ფუნდამენტური და გამოყენებითი მეცნიერების სფეროში მოღვაწე მეცნიერთა, ტყის მენეჯერთა და უმაღლესი სასწავლებლების ლექტორთა მომზადება სამაგისტრო და სადოქტორო დონეებზე;

დ) სატყეო სექტორის ახალგაზრდა პროფესიონალების დასაქმების ხელშეწყობა სატყეო მეურნეობებსა და რეგიონულ უნივერსიტეტებში პროფესიული განათლების დონის ასამაღლებლად;

ე) სატყეო სასწავლო ცენტრისა და ტყის მართვის სამოდელო ერთეულის შექმნა, რომლებიც უზრუნველყოფს მეტყევეებისა და სატყეო სექტორში დასაქმებული პირების ველზე წვრთნას;

ვ) სახელმწიფო სატყეო, საგანმანათლებლო და კვლევითი ინსტიტუტების მჭიდრო თანამშრომლობა არსებული გამოცდილების გასაუმჯობესებლად;

ზ) საერთაშორისო აკადემიური პრაქტიკის გამოყენება საქართველოში ნაკლებად განვითარებული სატყეო მეცნიერების მიმდინარეობების გასაძლიერებლად და საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში სტუდენტების მიზნობრივი სწავლების მხარდაჭერა;

თ) კვალიფიკაციის ასამაღლებელი და სატყეო სექტორში დასაქმებული პირების სერტიფიცირების მდგრადი სისტემების განვითარება (სპეციალიზებული პროფესიული კოლეჯების ჩამოყალიბება და განვითარება) და მათი შექმნის აუცილებლობის შეფასება.

საჭიროა სატყეო მეცნიერების თანამედროვე დონის კვლევითი პროექტების მხარდაჭერა, რისთვისაც აუცილებელია:

ა) სატყეო მეცნიერების სფეროში სტუდენტების მონაწილეობით განხორციელებული საუნივერსიტეტო კვლევების მხარდაჭერა;

ბ) სატყეო სექტორში საუნივერსიტეტო სწავლებისა და კვლევის მჭიდრო ურთიერთობის ხელშეწყობა;

გ) სატყეო სექტორში უახლესი სამეცნიერო მიღწევების დანერგვის ხელშეწყობა;

დ) სატყეო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის აღდგენა და მისი ახალი გამოწვევების შესაბამისად განვითარება;

ე) სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო და საექსპერტო პოტენციალის ჩართვა კადრების მომზადებასა და გადამზადებაში.

8. საზოგადოების ცნობიერება და ჩართულობა

საქართველოს ტყეების მნიშვნელობისა და ტყის მდგრადი მართვის პრინციპების შესახებ საზოგადოების

(გარდა ექსპერტთა და გადაწყვეტილების მიმღებ პირთა მცირერიცხოვანი ჯგუფისა) ცნობიერების დონე დაბალია. ზოგადად, საზოგადოებას კარგად ესმის ტყეების, როგორც პირდაპირი თუ არაპირდაპირი სარგებლის წყაროს, მნიშვნელობა. მიუხედავად ამისა, საზოგადოება, მათ შორის, ადგილობრივი თემები და ადგილობრივი ხელისუფლება, აგრეთვე ტყის მმართველები და გადაწყვეტილებების მიმღები სახელმწიფო უწყებები, ნაკლებ პასუხისმგებლობას ავლენენ, რაც ძირითადად ტყის მდგრადი მართვის პრინციპების არცოდნითაა განპირობებული.

დღეს არ არსებობს ტყესთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებაში საზოგადოების მონაწილეობის დახვეწილი სამართლებრივი მექანიზმები. ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით ეს მექანიზმები გაუმართავია ან არ სრულდება კანონის მოთხოვნები.

ტყეებზე მოსახლეობის ზემოქმედება, რომელიც ძირითადად შეშის შეგროვებითა და სატყეო მიწებზე საქონლის ძოვებით გამოიხატება, მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას ახდენს ტყეებზე. ამ პრობლემის გადაჭრის ზოგიერთი გზა სცილდება ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოების კომპეტენციას, კერძოდ, სოფლის მოსახლეობის შემოსავლების გაზრდა, საქონლის ძოვების ისეთი ალტერნატივების შეთავაზება, რომლებიც არ გამოიწვევს ტყეებზე უარყოფით ზემოქმედებას, აგრეთვე შეშის, როგორც ენერგიის წყაროს, ხელმისაწვდომი ალტერნატივით ჩანაცვლება.

იგეგმება ადგილობრივი ტყეების მართვაში თემების ჩართვა, ტყის მართვის დაგეგმვისას მათი და საზოგადოების, განსაკუთრებით, ქალებისა და ახალგაზრდების, მოთხოვნილებების გათვალისწინება. ისინი პასუხისმგებელი იქნებიან იმ რესურსების რაციონალურად მართვისა და გამოყენებისთვის, რომლებიც ახლანდელი და მომავალი თაობების კეთილდღეობას უზრუნველყოფს.

8.1. განსახორციელებელი ქმედებები

უნდა ამაღლდეს საქართველოს ტყეების მნიშვნელობისა და ტყის მდგრადი მართვის პრინციპების შესახებ მოსახლეობისა და გადაწყვეტილებების მიმღებ პირთა ცნობიერების დონე სხვადასხვა გზით, მათ შორის:

ა) ფართო საზოგადოებისათვის და შერჩეული სამიზნე ჯგუფებისათვის ძირითადი გზავნილების მიწოდების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმების შემუშავებითა და განხორციელებით;

ბ) საქართველოს ტყეებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში საზოგადოების მონაწილეობის სამართლებრივი მექანიზმების დახვეწით, საერთაშორისო მრავალმხრივი ხელშეკრულებებით დადგენილი ნორმებისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით.

უნდა გაფართოვდეს სოფლის მოსახლეობისათვის შემოსავლის წყაროების ალტერნატივები სხვადასხვა გზით, მათ შორის:

ა) შესაბამის ეროვნულ სტრატეგიებში ისეთი პროგრამების ინტეგრირებით, რომლებიც მიზნად ისახავს სოფლად სიღარიბის დონის შემცირებას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას სხვადასხვა ჯგუფის, მათ შორის, ქალებისა და ახალგაზრდების, ინტერესების გათვალისწინებით;

ბ) ისეთი საპილოტე პროექტების შემუშავებითა და განხორციელებით, რომლებიც ხელს შეუწყობს ადგილობრივი თემების მიერ ტყეების კომერციულ გამოყენებას ახალი სამუშაო ადგილებისა და შემოსავლის წყაროების შექმნის და სიღარიბის დონის შემცირების მიზნით.

საჭიროა სოფლის მოსახლეობისთვის ენერგიის ხელმისაწვდომი წყაროების უზრუნველყოფა და მათი ეფექტიანი გამოყენება სხვადასხვა გზით, მათ შორის:

ა) ენერგიის წყაროების პოტენციალის შეფასებით, მათ შორის, დანახარჯისა და სარგებლიანობის მიხედვით, ენერგოეფექტიანი ღუმლების დანერგვით, სახლების თბოიზოლაციით, კომბინირებული სითბოსა და ენერგიის გენერირებით, ბუნებრივი აირის ქსელის გაფართოებით, და ამ შეფასებაზე დაყრდნობით სამოქმედო გეგმების შემუშავებით;

ბ) სოფლის მოსახლეობის სათბობი შეშით დაკმაყოფილების პროგრამის შემუშავებითა და განხორციელებით;

გ) შეშის რაციონალური გამოყენებით, მშრალი შეშის გამოყენებით და უფრო ეფექტიანი ალტერნატივების ხარჯზე შეშის მოხმარების შემცირებით.

ადგილობრივი ტყის რესურსების მიმართ სოფლად მცხოვრები თემების პასუხისმგებლობის ამაღლება, მათ

შორის, ისეთი მექანიზმების შემუშავება და პილოტირება, რომლებიც ამ თემებს აღნიშნული რესურსების მართვაში ჩართავს.